საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომის

d a d g e n i l e b a №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2017 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2017 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სტუ-ის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის იჯარის შემოსავლიდან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 4 900 ლარი გადატანილ იქნეს რეკლამის ხარჯების მუხლში; 7 000 ლარი – ტენდერის ხარჯებში; 3 400 ლარი – სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; ხოლო 11 340 ლარი – არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა/დანადაგრების მუხლში;

2. „სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრისათვის - ერთად“ ეკონომიკური საქმიანობიდან გამოიყოს 31 500 ლარი.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური გამოწვევები და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ატარებს საზაფხულო სკოლის მოსწავლეთათვის და საინჟინრო აკადემიის მსმენელთათვის სხვა სტუდენტურ საკონკურსო პროექტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობის იჯარის ხარჯებიდან გამოიყოს 31 500 ლარი, საიდანაც 12 000 ლარის ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს იჯარის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან; ასევე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 8 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში; 6 000 ლარი – არაფინანსური აქტივების კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლში; 2 500 ლარი – მივლინების მუხლში; 3 000 ლარი –წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში;

3. სტუ-ის „სტუდენტური ვარსკვლავის“ (სტუსტარი) ყოველწლიურ მუსიკალურ კონკურსში მონაწილე ფინალისტების დაჯილდოების მიზნით, სწავლის საფასურის საშეღავათო მოცულობა დადგინდეს შემდეგნაირად:

3.1. ნინო ორჯონიკიძე – პირადი №01001098583, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (პირველი ადგილის მფლობელი), გათავისუფლდეს ერთი სასწავლო წლის (2 250 ლარი) გადასახადისაგან;

3.2. ანა ხმალაძე – პირადი №60001138548, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (მეორე ადგილის მფლობელი), გათავისუფლდეს ნახევარი სასწავლო წლის (1 125 ლარი) გადასახადისაგან;

3.3. მარიამ კაკაბაძე – პირადი №62002005980, სამშენებლო ფაკულტეტი (ფინალისტი), გათავისუფლდეს მეოთხედი სასწავლო წლის (562 ლარი) გადასახადისაგან;

3.4. გვანცა ნარიმანაშვილი – პირადი №01027091257, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (ფინალისტი), გათავისუფლდეს მეოთხედი სასწავლო წლის (562 ლარი) გადასახადისაგან;

3.5. ომარ სულაშვილი – პირადი №31001054966, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი (ფინალისტი), გათავისუფლდეს მეოთხედი სასწავლო წლის (562 ლარი) გადასახადისაგან.

4. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

4.1. დაფინანსდეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა ანაზღაურება 34 200 ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან;

4.2. ასევე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 169 200 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში; 9 730 ლარი – სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის მუხლში; ხოლო 330 ლარი – ვალდებულებების კლების მუხლში; ელექტრომოწყობილობების შეძენის მუხლიდან 40 000 ლარი – მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯების მუხლში;

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2017 წლის 1-ელ თებერვალს გაფორმებულია №09-1/62/16 ხელშეკრულება, საიდანაც ირკვევა, რომ 2017 წელს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დაფინანსება დაგეგმილია პროგრამული დაფინანსების წესით „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1-ელი თებერვლის №134 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის – სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა ფარგლებში, სტუ-ის 16 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფინანსება შეადგენს სულ 4 828 750 ლარს, რაც ექვემდებარება სტუ-ის ნაერთ ბიუჯეტში ასახვას, ბიუჯეტის გაზრდას 4 828 750 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 2017 წლის ბიუჯეტები, საშტატო განრიგები და შრომის ანაზღაურების წლიური ფონდები, კერძოდ:

5.1. ბიოტექნოლოგიის ცენტრი: ბიუჯეტი – 179 350 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 15; შრომის ანაზღაურების ფონდი – 111 600 ლარი;

5.2. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 513 400 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 53; შრომის ანაზღაურების ფონდი – 383 200 ლარი;

5.3. გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილება: ბიუჯეტი – 27 100 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 3; შრომის ანაზღაურების ფონდი – 22 200 ლარი;

5.4. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 179 600 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 19; შრომის ანაზღაურების ფონდი – 150 600 ლარი;

5.5. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 450 100 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 68; შრომის ანაზღაურების ფონდი – 433 400 ლარი;

5.6. ვ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 1 097 210 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 159; შრომის ანაზღაურების ფონდი – 1 030 800 ლარი;

5.7. ნაგებობების სპეციალური სასტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 460 600 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 51,5; შრომის ანაზღაურების ფონდი – 366 492 ლარი;

5.8. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი: ბიუჯეტი – 225 090 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 23,5; შრომის ანაზღაურების ფონდი – 189 600 ლარი;

5.9. სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი: ბიუჯეტი – 37 200 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 3,5; შრომის ანაზღაურების ფონდი – 35 700 ლარი;

5.10. ინსტიტუტი „ტალღა“: ბიუჯეტი – 93 800 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 13,5; შრომის ანაზღაურების ფონდი – 92 000 ლარი;

5.11. ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 448 500 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 65; შრომის ანაზღაურების ფონდი – 352 300 ლარი;

5.12. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 230 800 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 36; შრომის ანაზღაურების ფონდი – 201 600 ლარი;

5.13. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 80 300 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 15; შრომის ანაზღაურების ფონდი – 80 300 ლარი;

5.14. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 445 100 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 69; შრომის ანაზღაურების ფონდი – 406 600 ლარი;

5.15. ინსტიტუტი „ტექინფორმი“: ბიუჯეტი – 250 900 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 33; შრომის ანაზღაურების ფონდი – 209 000 ლარი;

5.16. კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი: ბიუჯეტი – 109 400 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა – 10; შრომის ანაზღაურების ფონდი – 78 600 ლარი;

წარმოდგენილი ბიუჯეტებისა და საშტატო განრიგების პროექტების ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 1-ელი იანვარი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომის

d a d g e n i l e b a №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 17 თებერვლის №21 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი ქონების განკარგვის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **2017** წლის **20** იანვრის **№4 17 00043604** თანხმობის წერილის საფუძველზე ბალანსიდან ჩამოწერილი ქონების განკარგვა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემდეგი სახით:

1. საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ქონების (სულ **698** ერთეული) ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართი **18 839.5** კგ. (შავი ლითონი) განსაკარგავად გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს;

2. უნივერსიტეტის ეკონომიკური სახსრებით შეძენილი ქონების (**114** ერთეული) ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის **2108** კგ. (შავი ლითონი) განიკარგოს უნივერსიტეტის მიერ ელექტრონული აუქციონის მეშვეობით;

3. საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ქონების ჩამოწერის შედეგად **3402** ერთეული, გამოსაყენებლად უვარგისი ქონება, კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაიყაროს ნაგავსაყრელზე;

4. უნივერსიტეტის ეკონომიკური სახსრებით შეძენილი ქონების ჩამოწერის შედეგად **2232** ერთეული გამოსაყენებლად უვარგისი ქონების კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაიყაროს ნაგავსაყრელზე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომის

d a d g e n i l e b a №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 17 თებერვლის №21 სხდომაზე პროფ. ომარ კიღურაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსებითი სათბობის, ენერგეტიკული დანადგარების და სამშენებლო მასალების თბური დიაგნოსტიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის დადგენილება №2289.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი სათბობის, ენერგეტიკული დანადგარების და სამშენებლო მასალების თბური დიაგნოსტიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომის

d a d g e n i l e b a №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 17 თებერვლის №21 სხდომაზე სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ანზორ აბშილავამ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის დადგენილება №2291.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ დ. თევზაძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60% -ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომის

d a d g e n i l e b a №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 17 თებერვლის №21 სხდომაზე სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ოთარ გელაშვილმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 თებერვლის დადგენილება №2302.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორ თ. გრიგორაშვილს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60% -ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომის

d a d g e n i l e b a №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 17 თებერვლის №21 სხდომაზე სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ოთარ გელაშვილმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 თებერვლის დადგენილება №2303.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორ ლ. კაპანაძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომის

d a d g e n i l e b a №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომაზე პროფ. ჯემალ ბერიძემ წარმოადგინა საკითხი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსი) გაცემის წესსა და თანდართულ შეფასების კრიტერიუმებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2016 წლის 18 მარტის გაერთიანებული სხდომის №28 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესში“ (შემდეგში -წესი) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. წესის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის პერიოდულობა

1. სახელფასო დანამატი (ბონუსი) პერსონალზე გაიცემა გასული კალენდარული წლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ფასდება თანდართული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დანართი №1).

2. სახელფასო დანამატი (ბონუსი) გაიცემა ყოველთვიურად, ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი ოდენობისა და პრინციპების დაცვით.

3. პერსონალის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემა წყდება.

4. დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი და პერსონალი. არასწორი ინფორმაციის გამოვლენის შემთხვევაში, საკითხი შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეცემა ფაკულტეტის ეთიკის კომისიას.

მუხლი 4. სახელფასო დანამატის (ბონუსის) ფონდის ფორმირების პრინციპი

1. სახელფასო დანამატის (ბონუსის) ფონდის ფორმირების წყაროა უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) ერთეულის ბიუჯეტი.

2. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) ერთეულის შესაბამისი წლის ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

მუხლი 5. გასაცემი სახელფასო დანამატის (ბონუსის) ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი

1. სახელფასო დანამატი (ბონუსი) გაიცემა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) პერსონალის იმ 40%-ზე, რომლებიც №1 დანართში მოცემული კრიტერიუმებით დააგროვებენ ყველაზე მეტ ქულას. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ბონუსი გაიცემა ყველა თანაბარქულიანზე.

2. კალენდარულ წელს გასაცემი სახელფასო დანამატის (ბონუსის) ოდენობის დასადგენად, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) ბიუჯეტში ამ მიზნით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯების ოდენობა (№4.2) იყოფა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბონუსის მიმღები პერსონალის მიერ გასული წლის შედეგებით მიღებულ

ქულათა საერთო (ჯამურ) რაოდენობაზე და მიღებული რიცხვი წარმოადგენს ერთი ქულის შესაბამის ღირებულებას.

3. მე-5 მუხლით განსაზღვრული ბონუსის მიმღებ ცალკეულ პირზე ყოველთვიურად გასაცემი სახელფასო დანამატის (ბონუსის) ოდენობა გამოითვლება ამ პირის მიერ გასულ კალენდარულ წელს მიღებული ქულების რაოდენობის მიხედვით, რომელიც მრავლდება ერთი ქულის ღირებულებაზე და გადანაწილდება პროპორციულად, ბონუსის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებიდან კალენდარული წლის ბოლომდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.“

2. წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 მუხლი:

„**მუხლი 6. შეზღუდვები პერსონალისათვის სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემაზე**

1. სახელფასო დანამატი (ბონუსი) არ გაიცემა პერსონალზე, რომელმაც გასული კალენდარული წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდინა სასწავლო ცხრილით განსაზღვრული მეცადინეობა.

2. სახელფასო დანამატი (ბონუსი) არ გაიცემა პერსონალზე, რომლის ჩანაცვლება მოხდა სასწავლო ცხრილით განსაზღვრული მეცადინეობების 10% -ზე მეტ შემთხვევაში.

3. ინფორმაციას მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან ჩანაცვლებების რაოდენობის შესახებ შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს (ფაკულტეტი, სკოლა) აწვდის სტუ-ის სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი.“

3. წესის დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

danarTi 1

stu-os akademiur, mowveul profesorTa da maswavlebelTa personalis mier (profesori, asocirebuli profesori, asistent-profesori, ufrosi maswavlebeli, maswavlebeli) akademiur, samecniero-kvleviT da stu-Tvis mniSvnelovan sxva saqmianobaSi miRweuli Sedegebis Sefasebis

kriteriumebi

1. აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში (საერთო შეფასების მაქსიმუმ 40%)

(მიღებული ქულების პროცენტებში გადასაყვანად ქულათა რაოდენობა მრავლდება 0.4 –ზე)

№	შეფასების კრიტერიუმები	ქულათა მაქსიმა–ლური რაოდენობა	ქულათა განაწილების კრიტერიუმები	კომისიაში წარმოდგენის ფორმა, წარმომდგენი
1.	საუნივერსიტეტო პროგრამებით წაკითხული სალექციო საგნები (რაოდენობა);	5	ორ საგანზე –1 ქულა; სამ საგანზე –2 ქულა; ოთხ საგანზე–3 ქულა; ხუთ საგანზე–4 ქულა; ექვს საგანზე –5 ქულა.	ადგენს მაძიებელი, ამოწმებს ფაკულტეტის დეკანი (დეპარტამენტის ხელ–ლი)
2.	ლექტორის შეფასების დონე(სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე;	5	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კრიტერიუმებით.	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
3.	ბონუსების მაძიებლის ხელმძღვანელობით დაცული სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების რაოდენობა	30	ერთი სადოქტორო დისერტაცია – 10 ქულა; ერთი სამაგისტრო დისერტაცია – 5 ქულა.	სადისერტაციო საბჭო, დეკანატი
4.	სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცებული	15	სახელმძღვანელო –15 ქულა;	დეპარტამენტი

	(რეკომენდირებული) სახელმძღვანელოების (მათ შორის ელექტრონული) გამოქვეყნება (ავტორობა, თანაავტორობა);		დამხმარე სახელმძღვანელო – 10 ქულა. თანაავტორობის შემთხვევაში ქულები ნაწილდება თანაბრად.	
5.	ახალი სასწავლო ლაბორატორიების შექმნა, არსებული სასწავლო ლაბორატორიების განახლება/მოდრენიზაცია, ინოვაციური მეთოდების დანერგვა სასწავლო პროცესში;	20	ახალი სასწავლო ლაბორატორიის შექმნა –15 ქულა; არსებული ლაბორატორიების მოდრენიზაცია – 10 ქულა; ინოვაციური მეთოდების დანერგვა სასწავლო პროცესში;	დეპარტამენტი
6.	ახალი სასწავლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული განათლების) შემუშავება; ახალი სასწავლო დისციპლინის შემოსაღებად შესრულებული სამუშაოები (სილაბუსის შედგენა, შესაბამისი სასწავლო–მეთოდური უზრუნველყოფა);	10	ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავება –5 ქულა; ახალი სილაბუსის შედგენა –5 ქულა.	დეპარტამენტი
7.	საათობრივი ანაზღაურებით სასწავლო დატვირთვის შესრულება;	15	ყოველი 20 საათი - 1ქ.	დეპარტამენტი

2. აქტივობები მეცნიერების ხაზით. (კვლევები, ინოვაციები, სამეცნიერო პუბლიკაციები და სხვა, საერთო შეფასების მაქსიმუმ 40 %)

(მიღებული ქულების პროცენტებში გადასაყვანად ქულათა რაოდენობა მრავლდება 0,4 –ზე)

№	კრიტერიუმები	ქულათა მაქსიმა–ლური რაოდენობა	ქულათა განაწილების კრიტერიუმები	კომისიაში წარმოდგენის ფორმა, წარმომდგენი
1.	სტუ –ში შესრულებულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა (ხელმძღვანელობა, მიღებული სამეცნიერო გრანტები,	5	თითოეულ პროექტზე - 5 ქულა.	წარმოად. მაძიებელი, ამოწმებს მეცნიერების დეპარტამენტი

	დასრულებული პროექტები).			
2.	წარმოებისათვის მისაღები კვლევის შედეგები, (კვლევის შედეგების აღიარება, წარმოებაზე მიღებული ლიცენზიების რაოდენობა, მიღებული პატენტების, საავტორო უფლებების რაოდენობა;	10	5 (ქ) თითოეულ კვლევის შედეგზე;	ადგენს მაძიებელი, ამოწმებს კომერციალიზაციის დეპარტამენტი, მეცნიერების დეპარტ.
3.	ახალი სამეცნიერო მიმართულებების ჩამოყალიბება (ახალი სამეცნიერო ლაბორატორიების ორგანიზება, ახალი სამეცნიერო კოლექტივების ჩამოყალიბება, ახალი ტექნოლოგიების შემოტანა–დანერგვა (აქ არ იგულისხმება კომერციული ცენტრების დაფუძნება;	10	5 (ქ) თითოეულ მიმართულებაზე;	ფაკ–ტის დეკანის ცნობა
4.	პროფესიულ, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ორგანიზაციებში მოღვაწეობა (საერთაშორისო და ადგილობრივ მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელობა, წევრობა, წევრად არჩევა, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ოგანიზატორობა);	5	ხელმძღვანელობა –3 (ქ); წევრობა – 1 (ქ); ორგანიზატორობა–1(ქ);	დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი
5.	მონორგაფია სტუ–ში შესრულებულ სამეცნიერო კვლევების შედეგებზე (ავტორი);	10		მონოგრაფიის თავფურცელის ქსეროასლი
6.	მონოგრაფიის თავები სტუ–ში შესრულებული სამეცნიერო კვლევების შედეგებზე	10	თანაავტორებს შესრულებული სამუშაოების წილების შესაბამისად;	მონოგრაფიის თავფურცელი, წინასიტყვაობა წილების განსაზღვრისათვის
7.	პუბლიკაციები იმპატქ–ფაქტორის მქონე ჟურნალებში;	10	ავტორთა კოლექტივის შემთხვევაში 10 (ქ) იყოფა წილობრივად;	მოწმდება სპეციალობების მიხედვით Web საიტზე
8.	პუბლიკაციები რეცენზირებად საერთაშორისო გამოცემებში;	10	ავტორთა კოლექტივის შემთხვევაში 5(ქ) იყოფა წილობრივად;	გამოცემის თავფურცელი და სარჩევი

9.	პუბლიკაციები ადგილობრივ რეცენზირებად გამოცემებში და სხვა პუბლიკაციები	5	ერთი პუბლიკაცია –2,5 (ქ);	გამოცემის თავფურცელი და სარჩევი
10.	პუბლიკაციები და მოხსენებები სამეცნიერო ფორუმებზე (საერთაშორისო კონფერენციების შრომების კრებულებში, ადგილობრივ კონფერენციების შრომების კრებულებში, მოხსენებების თეზისები და პრეზენტაციები საერთაშორისო და ადგილობრივ ფორუმებზე);	5	ერთი პუბლიკაცია/ მოხსენება –2,5(ქ);	გამოცემის თავფურცელი და სარჩევი
11.	სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა (სტუდენტთა სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, სტუდენტთა მონაწილეობა კონფერენციებში, პუბლიკაციები სტუდენტთა თანაავტორობით, მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებზე, ექსპონატების მომზადება გამოფენებისათვის);	20	ორგანიზაცია –10 (ქ); სტუდენტთა სამეცნიერ–კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა – 5(ქ); პუბლიკაცია სტუდენტის (ბაკალავრის, მაგისტრანტის) თანაავტორიბით –5(ქ); ექსპონატის მომზადება და გამოფენაში მონაწილეობა – 5 (ქ).	დეპარტამენტის ცნობა, კონფერენციების დღის წესრიგი, გამოფენაზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

3. სტუ–თვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები (საერთო შეფასების მაქსიმუმ 20%)
(მიღებული ქულების პროცენტებში გადასაყვანად ქულათა რაოდენობა მრავლდება 0.2–ზე)

№	**შეფასების კრიტერიუმები**	**ქულათა მაქსიმა–ლური რაოდენობა**	**ქულათა განაწილების კრიტერიუმები**	**კომისიაში წარმოდგენის ფორმა, წარმომდგენი**
1.	უნივერსიტეტის აკადემიური/წარმომადგენლობითი საჭოს კომისიის თავმჯდომარეობა, უნივერსიტეტის აკადემიური / წარმომადგენლობითი საბჭოს კომისიის წევრობა;	25	თავმჯდომარეობა–25(ქ); წევრობა – 15 (ქ);	საუნივერსიტეტო ბრძანება
2.	სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობა/მდივნობა;	15	თავმჯდომარეობა–10(ქ); მდივნობა – 10 (ქ);	საფაკულტეტო ბრძანება

3.	ფაკულტეტზე მუდმივმოქმედი კომისიების (საარჩევნო, ეთიკის, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის საგამომცემლო–სარედაქციო) თავმჯდომარეობა/ წევრობა;	15	ჩატარებული კომისიის სხდომების რაოდენობათა მიხედვით, ერთი სხდომა – 2 (ქ);	კომისიების სხდომების ოქმები
4.	სადოქტორო დისერტაციების რეცენზენტობა (იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სამუშაო არ ანაზღაურდება);	15	ერთ რეცენზიაზე – 5 (ქ);	სადისერტაციო საბჭოს ცნობა
5.	სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტობა;	5	ერთ რეცენზიაზე –2.5(ქ);	დეპარტამენტის ხელმძღვანელის ცნობა
6.	სასწავლო სახელძღვანელოების რეცენზირება	15	სახელმძღვანელოზე - 10ქ. დამხმარე სახელმძღვანელო - 5ქ.	სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის საგამომცემლო - სარედაქციო კომისიის ცნობა
7.	სადისერტაციო კოლეგიის თავჯდომარეობა/წევრობა, სადოქტორო/სამაგისტრო კოლოკვიუმი/სემინარის თავმჯდომარეობა, მდივნობა, წევრობა;	10	სადისერტაციო კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობა, ერთი სხდომა – 3 (ქ); სადოქტორო სამაგისტრო კოლოკვიუმი/სემინარის თავმჯდომარეობა/წევრობა, ერთი სხდომა – 2 (ქ).	სადისერტაციო საბჭო

სულ დაგროვებული ქულების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა შეადგენს – 100 ქულას.

მათ შორის: აქტივობისათვის აკადემიურ საქმიანობაში – 40 ქულა;

აქტივობისათვის მეცნიერების ხაზით – 40 ქულა;

აქტივობისათვის სხვა საქმიანობაში – 20 ქულა.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**